პროლეტარელნო ყველანი ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 157 (19299) სამშაბათი, 9 ივლისი, 1985 წელი ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „სასუქსათო ხორბლის მაღალხარისხოვანი მარცვლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გაზრდილ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების და ორგანიზაციების მატერიალური დაინტერესების გაძლიერების შესახებ“.

დადგენილებით გათვალისწინებულია დაწესდეს, 1985 წლის მოსავლით დაწყებული, სახელმწიფოსათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ მისაყიდი თავთუხის ერთიანი შესასყიდი ფასი 150 მანეთის ოდენობით ტონისათვის (სამაზისო კონდიცია), ალრეთვე მიეცეთ I კლასის თავთუხის მარცვლისათვის დაწესებული შესასყიდი ფასის დანამატი 100 პროცენტის, II კლასისა — 70 პროცენტის და III კლასისა — 20 პროცენტის ოდენობით.

1985 წელს კოლმეურნეობებს; საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს მიეცეთ დანამატი შესასყიდი ფასის 50 პროცენტის ოდენობით სახელმწიფოსთვის მეათე ხუთწლედში მიღწეული საშუალო დონის გადაჭარბებით თავთუხის მარცვლის მიყიდვისათვის, მოიხდიადან იმისა, თუ რამდენად იქნება გადაჭარბებული ეს დონე მთლიანად მარცვლის მიხედვით.

დადგენილია, რომ, 1985 წლის მოსავლით დაწყებული, სახელმწიფოსთვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ მისაყიდი ღონეური ჯიშის ხორბლის მარცვალი ანაზაურდება იმ ფასით, რომელიც 10 პროცენტით ღიმარება რბილი ხორბლისათვის დაწესებულ ფასს, თუ ამ ხორბლის მარცვალი შეიცავს არანაკლებ 23 პროცენტ ნედლ წებოვანას, რომელიც ხარისხით მეორე ჯგუფისაზე ნაკლები არ არის.

რაიონულ, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ (სსსრ) აგროსამრეწველო გაერთიანებათა საბჭოებს რეკომენდაცია მიეცათ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ მეშაკებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს წინა ხუთი წლის მანძილზე მიღწეულ საშუალო წლიურ დონესთან შედარებით სახელმწიფოსთვის თავთუხის, ღონიერი და რბილი ხორბლის ყვავლაზე ძვირფასი ჯიშების მიყიდვის მატების უზრუნველყოფაში, ამ გაერთიანებათა მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდის სახსრებიდან მისცენ პრემიები ორი თვის თანამდებობრივ სარგამდე ოდენობით, თუ შესაბამისი საწარმო, ორგანიზაცია მთლიანად შესრულებს ხორბლის მიყიდვის (შესყიდვის) დაწესებულ გეგმებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოთქვეს რწმენა, რომ პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანოები, აგროსამრეწველო გაერთიანებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები და სპეციალისტები, კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და პარტიულის მიმღებ საწარმოთა მუშები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა კიდევ უფრო გაადიდონ სასურსათო ხორბლის მაღალხარისხოვანი მარცვლის წარმოება, მთლიანად და გადაჯარბებით შესასრულონ სახელმწიფოსთვის მისი მიყიდვის გეგმები.

პარტიული კონტროლის კომისია

ყოველი დღე სულ უფრო გვაახლოებს ჩვენი პარტიის XXVII ყრილობის გახსნის დღეს. საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ენერგიულად ირჯებიან, რომ წარმატებით დააკვირგვინონ როგორც მიმდინარე მრავალსმეტყველი წელი, ისე მთლიანად მეთერმეტე ხუთწლედი. დღეს თითოეული ჩვენგანისათვის მოქმედების ნათელი ორიენტირებია სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებანი, შეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებული დასკვნები და დებულებანი. დღის წესრიგშია ჩვენი განვითარების ახალი ეტაპისა, სწრაფი წინსვლა სტრატეგიული მნიშვნელობის მიმართულებებით, ნარმოების სტრუქტურული გარდაქმნა, ინტენსიფიკაციის რელსებზე გადასვლა, სამეურნეო მექანიზმის, მართვის მთელი სისტემის გაუმჯობესება.

ამ საქმეში კი მეტად დიდი როლი ეკისრებათ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, რომელთა განკარგულებაშია ნარმოებაზე, შრომითი კოლექტივების ცხოვრებასა და საქმეებზე პარტიული გავლენის საშუალებათა უმდიდრესი არსენალი. ასეთი გავლენის მეტად მძლავრი ინსტრუმენტია ადმინისტრაციის საქმიანობისა და ამარატის მუშაობის კონტროლი.

მაგრამ კონტროლი ყველაზე ეფექტიანია იქ, სადაც მას შემოქმედებითად უდგებიან, სადაც პარტიული ზეგავლენის სხვადასხვა ფორმას აქტიურად, თანაც დაკვირვებულად იყენებენ. მაგალითად, ნარმოებისადმი ხელმძღვანელობის, ტექნიკური და სოციალური განვითარების ბევრ საკვანძო საკითხს პარტიულ კრებებზე განიხილავენ. პრაქტიკაშია სამეურნეო ხელმძღვანელების ანგარიშები. საუკეთესო შედეგი მოაქვს ბოლო ხანს საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში დამკვიდრებულ სიახლეს — კომუნისტთა ანგარიშების მოსმენას და მათი პარტიული დახასიათების დამტკიცებას უშუალოდ ღია პარტიულ კრებებზე. სულ უფრო მეტი აქტორიტეტი მოიპოვებს პარტიულ კონტროლის კომისიებმა, რომლებიც შექმნილია ცალკეული პროფესიების მიხედვით და ეხმარებიან პარტიულებს პარტიულ ორგანიზაციებს, როგორც შემრძოლი რგოლები — ფსიზლად ადევნონ თვალყური კოლექტივის წინაშე მდგომი მოთავარი ამოცანების შესრულებას.

როგორც ცნობილია, ამ სამი წლის წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება ადმინისტრაციის საქმიანობისა და აპარატის შუამთავრობაში კონტროლის განმსაზღვრელ-ველი პირველად პარტიული ორგანიზაციების კომისიების შესახებ და დაამტკიცა დებულება ამ კომისიებისათვის, რომაც განსაზღვრა მათი ამოცანები, უფლებანი და ვალდებულებანი.

პარტიული კონტროლის კომისიების შუამავი ყურადღების საგანია სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, ეფექტურელ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, საზოგადოებრივი ნარმოების ეფექტიანობის და შუამაობის ხარისხის ამაღლების საკითხები, მათ შეუპოვრად უნდა ებრძოლნ სამუშაო დროის დანაკარგებსა და გაცდენებს, განსაზღვრულნენ ღონისძიებანი მატერიალური რესურსების მომჭირნე ხარჯვისათვის, სოციალისტური შეჯიბრების მეტი ქმედითობისათვის, ერთი სიტყვით, საქმიანობის ყველა უბანზე საუკეთესო საბოლოო შედეგებისათვის.

სწორედ ყველაფრისაკენ ამ უბანრეკლები ამოცანების გამოყოფდა და მათზე კომუნისტთა ყურადღების მიპყრობა თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პარტორგანიზაციის კონტროლის კომისიების ნაყოფიერი შუამაობის მთავარი პირობაა. ისინი ეპიზოდურ შემოწმებებს კი არ აწყობენ, ამ საქმეში დაჩვედრებული აქვთ მოფიქრებული, თანმიმდევრული სისტემა.

მატერიალური რესურსების მომჭირნე, ყირმთანარი ხარჯვა დროის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა. მაგალითად, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი, რაიკომები ბევრს ზრუნავენ, რომ ამ მხრივ შუამაბა ადამიანთა ალზრდის ნამდვილ სკოლად აქციონ. უმრავლეს პარტიულ ორგანიზაციებში შექმნილია ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის კომისიები, რომლებიც სისტემატურად თვალს ადევნებენ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვას, პარტიული კომიტეტების, პარტბიუროების წინაშე აყენებენ საკითხებს შემჩნეული ნაკლოვანებების დროულად გამოსწორების მიზნით. პარტიული ორგანიზაციები პერიოდულად ისმენენ კომუნისტი ხელმძღვანელების ანგარიშებსა და ინფორმაციებს. ამ შუამაბის შედეგები კი ასეთია: მარშან ქალაქის შრომითმა კოლექტივებმა დაზოგეს 14 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 5 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზი, 13,4 ათასი პირობითი ტონა თხევადი და 125 ტონა დიზელის საწვავი, 65 ტონა ავტომობილის ბენზინი. წლეულსაც თითქმის ამ ნაბეჭერ წელიწადში ძონაცემები ეროო როდი.

საყურადღებო გამოცდილება შეიძინა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სარემონტო-შექნილური საამქროს პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილმა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების პარტიული კონტროლია კომისიამ, რომელიც პარტბიუროსთან შეთანხმებული გეგმით შუამაბს. ჭიათურის ძალოროსამმართველოს პარტორგანიზაციათა აქტიურობით გამოირჩევა კომისია, რომელიც კონტროლს უწევს ადმინისტრაციის შრომისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის საქმეში. მისი ინიციატივით მარტ მარშან პარტბიუროს ხუთჯერ იძიუალა უსაფრთხოებისა ტექნიკის წესების დარღვევების თაობაზე, რასაც შედეგად მოაკვა — წინა წელთან შედარებით ამ ერთიორად შემცირდა დაოდენეები, გაიზარდა ძალაროელთა პასუხისმგებლობა საძუშაო ადგილის უკეთ მოწყობისათვის, მეუფერხებელი შუამაბისათვის.

ასეთი მაგალითები მრავალია. მაგრამ ისიც გულახდილად უნდა ვალიარო, რომ ჯერ კიდევ ბევრგან პარტიული კონტროლის კომისიები არა თუ სუტად შუამაბენ, ზოგი მხოლოდ საათვალეშია.

როგორც გასული წლის შემოდგომაზე გამართულმა ძირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა გვიჩვენა, ბევრგან ძალიან ცოტა ყურადღება ექცევა ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის კომისიების შექმნას შუამაბის ისეთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით, როგორიც არის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, მიწოდების ხელშეკრულებათა შესრულება, დისციპლინის განმტკიცება და სხვ. მაგალითად, მარნეულის რაიონში ორმოცაზე კომისიიდან ზემოთ დასახელებულ პრობლემებს არცერთი არ აკონტროლებდა. ამბროლაურის და ბოლნისის რაიონებში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხების კონტროლისათვის მხოლოდ თითო კომისია იყო შექმნილი, წალკის რაიონში 31 კომისიიდან არცერთი არ შუამაბდა დისციპლინის განმტკიცების საკითხებზე, ბერეკაანის რაიონში 150-და, ხოლო ახალციხის რაიონში 73 კომისიიდან არცერთი არ იყო შექმნილი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიმართულებით.

ამიტომ დღეს ბარიის საქალაქო, რაიონული კომიტეტების, ძირველად პარტორგანიზაციების ერთ-ერთი გადაწყვეტელი და პირველი რიგის საზრუნავი დროულად შექმნან მთავარი პრობლემების, ძირითადი მიმართულებების მიხედვით ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის კომისიები, რა თქმა უნდა, საჭიროების მიხედვით და არა რაოდენობის გამოდევნონ. მათ ფარფოდ უნდა განაზოგადონ აქტიურად, შინაარსიანად მომუშავე კომისიათა გამოცდილება, პრაქტიკულად განახორციელონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ის მითითება, რომ ყველა რაიონულ, საქალაქო კომიტეტში, მსხვილ პარტორგანიზაციებში შეიქმნას სახელმწიფოებრივ დარგების მიხედვით კომისიათა თავმჯდომარეთა სკოლები.

პარტიული კონტროლის კომისიათა შემოქმედებითი და ნაყოფიერი შუამაბისათვის ბევრი შესანიშნავი რეკომენდაცია შეიმუშავეს პარტორგანიზაციათა მდივნების პირველმა და მეორე რეგიონალურმა კრებებმა, პარტიული შუამაბის ცალკეული საკითხებზე გამართულმა სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციებმა.

სულ მალე დაიწყება პარტიული ორგანიზაციების ყრილობისწინანდელი ფიდი საანგარიშო-საარჩევნო კამპანია. საჭირო იქნება კრებებზე საქმიანი ხვა-ბასი გაიმართოს პარტიული კონტროლის კომისიების საქმიანობაზე — პარტორგანიზაციათა ხელში ადმინისტრაციისადმი შედგენი კონტროლის, შუამაბის ეანაუბრებელად მეტად ეფექტიანი და ნაკადი ხელშემწყობი ინტრუმენტის კიდევ უფრო აქტიურად გამოყენებაზე.

ავტოტრანსპორტელებმა იყოჩაღეს

ნაშდვილად იყოჩაღეს მიმდინარე წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოთა კოლექტივებმა. რეზერვების მაქსიმალური გამოყენებით, მეტი ორგანიზებულობითა და დისციპლინის განმტკიცებით ტრანსპორტელებმა დაძლიეს პირველ კვარტალში მკაცრი ზამთრით გამოწვეული ჩამორჩენა და კვლავ მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ.

გეგმის გადამეტებით 1760 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო დანიშნულების საქონელი გადაზიდეს. მარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ტემპმა ამ მხრივ გადაჭარბებული 1,2 პროცენტის ნაცვლად 2,5 პროცენტი შეადგინა. რაც შეეხება ტვირთბრუნვას, გეგმის გადამეტებით შესრულდა 14 მილიონ კილომეტრზე მეტი, ე. ი. აქაც შესამჩნევი წარმატებაა მოპოვებული: ზრდის ტემპმა 1,3 პროცენტის ნაცვლად 3,5 პროცენტი შეადგინა. საგულისხმოა კიდევ ერთი დეტალი: ზემოხსენებულ პერიოდში გეგმის გადამეტებით გადაყვანილია 25 მილიონზე მეტი მგზავრი.

დაბრკოლებათა დაძლევაში და ნახევარი წლის სახელმწიფო გეგმების შესრულებაში თავი ისახელეს თბილისის სატვირთო, ზუგდიდის, წნორის, ჭიათურის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებების „კოლქეტიებმა, რომლებსაც შესაბამისად ვ. ლობჟანიძე, გ. ნარმანია, ტ. ტოგონიძე და ჯ. ხარაშვილი ხელმძღვანელობენ.

გაძლიერებული პასუხისმგებლობით მოეკიდნენ საქმეს საბეურნეოგარიშიან ბრიგადათა კოლექტივები და გაიმარჯვეს კიდეც. თბილისის №1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს ბრიგადამ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ვ. ეფხაძე თავკაცობს, ტვირთზიდვის ნახევარი წლის დაკადაზე 142 პროცენტით გაზარდა შრომის ნაყოფიერება და 1500 ლიტრი ბენზინი დაზოგა. ასევე დამაჯერებელ შედეგებს მიაღწიეს ქუთაისის №4 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოსა და წითელწყაროს ავტოსატრანსპორტო საწარმოს ბრიგადებმა ზ. ელეაშვილისა და ვ. გონთაშვილის მეთაურობით. პირველმა ტვირთზიდვის გეგმა 128 პროცენტით შეასრულა; შრომის ნაყოფიერება 17 პროცენტით გაზარდა და 3.600 ლიტრი დიზელის საწვავი დაზოგა. მეორემ — ტვირთზიდვის გეგმა 119 პროცენტით შეასრულა, შრომის ნაყოფიერება 18 პროცენტით გადიდდა და 3500 ლიტრი ბენზინი დაზოგა.

არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ავტოტრანსპორტელები პირნათლად შეასრულებენ მიმდინარე წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის სოციალისტურ ვალდებულებებს, ღირსეულად შეხვდებიან სკკპ XXVII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას.

„კომუნისტის“ კორ.

სკკპ XXVII ყრილობის უსასხვეულად

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს — დამკვრელური შრომა!

საკვებმომპოვებლები ბეჯითობენ

—საკვებმომპოვებლებმა გასული წლიდანვე შექმნეს საამისო საფუძველი. აგროდადებში დაამუშავეს ნიადაგი, კარტოფრამების მეხეიდვით გამოკვებეს და დათესეს ერთწლოვანი კულტურები. მარტი სასლილეს მასისათვის საჭირო კულტურებმა 1.581 ჰექტარი ფართობი დაიკავა, სანიმუშოდ მოუარეს სასენაე კულტურებსაც. კარგად მოვლილმა ნაკვეთებმა შარშანდელთან შედარებით ადრე მოგვცეს მოსავალი. გარდა ამისა, რომ საზოგადოებრივ მეურნეობებში საკვებმომპოვებელთა ბრიგადები დაკომპლექტდა უფრო გამოცდილი და ენერგიული მუშაკებით, შეიქმნა 11-კაციანი უფროსი ბრიგადა, რომელსაც კომპანიები ლეგან ნარტყოვები ხელმძღვანელობს. ბრიგადას აქვს საკმარი თანამედროვე მძლავრი ტექნიკა.

ბრიგადამ ოქიოს მეურნეობის საბჭოთა მეურნეობაში ხუთ სამუშაო დღეში, ტექნოლოგიური წესების ზუსტად დაცვით, ჩადო 900 ტონა სენაჟი, საგეგმო 800 ტონის ნაცვლად.

ოგანრიგო ბრიგადის დახმარებით და ადგილობრივი საკვებმომპოვებლების შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით ზემო ხოდაშნის მეევნახეობის საბჭოთა მეურნეობის სასენაჟე ტრანშეებში 990 ტონა ხარისხოვანი სენაჟი დაბინავდა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 900 ტონისა. სენაჟის ჩადების გეგმები გადაჭარბებით შესრულეს მოლანის მევეხახეობის საბჭოთა მეურნეობის საკვებმომპოვებლებმაც. საკვების დამზადების ტემპი კარგი კასრისწყალში. აქ და ქვემო ალვანის მეურნეობებში უკვე დაიწყეს თივისა და თივის ფბენილის დამზადება.

რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა შეასრულეს სენაჟის დამზადების წლიური გეგმა, ტონნეებში დაბინავებულია 16 ათას ტონაზე მეტი სენაჟი. და ეს მაშინ, როცა შარშან 24 პროიოდესათვის რაიონში დამზადებული იყო მხოლოდ 450 ტონა. სენაჟის ჩადება გრძელდება.

ნიშანდობლივია ისიც, რომ გამოთავისუფლებული ნაკვეთები სწრაფად მუშავდება და ითესება ნაწვერალი. იგი 900 ჰექტარზე დათესილა, ეს კი სილოსის დამზადების ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებაში შეგვიწყობს ხელს.

ახმეტელების სიტყვა და საქმე ერთი ყოფილა. პირუტყვს უხვად ექნება საკვები.

დ. ბერგიშვილი,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

ᲣᲮᲐᲖᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲮᲕᲐᲠᲔᲑᲘ

რᲝᲒᲝᲠᲘᲪ საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, მატყლის დამზადების ხუთწლიანი გეგმა შესრულებულია რესპუბლიკის მეცხვარეებმა.

სახელმწიფოს ჩაბარეს 16,8 ათასი ტონა მატყლი.

სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ხახმატის ავტომობილური ოლქის, ახმეტის, გარდაბნის, დუშეთის, ყაზბეგისა და საგარეჯოს რაიონების მეცხვაველებმა.

მატყლის დამზადება გრძელდება. (საქინფორმი).

ᲛᲔᲦᲚᲐᲚᲗᲘᲐᲜ ᲤᲠᲐᲡᲐᲖᲔ

ᲒᲐᲘᲕᲚᲘᲚ კიდევ ცოტა ხანი და ზაკიზლეანპრეთის უძველესი ბაზტაკეული — ნოეროოსისაკბათეში გაგრის ზონის სოფელ კოლხიდიდან ვეშს იცვლის და მთეხისკენ გიმართავს. აქ დასასრულს უახლოვდება ტექნიკურად რთული ნაგებობის ბიდი — ესტაკადის მშენებლობა, რომლის სიგრძე 289, ხოლო სიმაღლე 12 მეტრი იქნება. აქედან იწყება გაგრის შემოსაცალელი გზა, რომლის პირველი რიგის სამშენებლო სამუშაოების დამთავრებამდე ცოტალა რჩება, იგი უკვე ფელ უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ. ამ საკვანძობილო გზას უფიდეესი მნიშვნელობა აქვს კურორტ გაგრის შემდგომი განვითარებისათვის. ეს მაგისტრალი უზრუნველყოფს ტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას კურორტის შემოგლით.

გზის მშენებლობა დაიწყო და მიმდინარეობს ალბაზეთის ასსრ ეკონომიკისა და სოციალური განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად. მისი საშუალებით საგრძნობლად განიტვირთება ქალაქი ავტომანქანების ნაკადისაგან და ნაკლებად გაუუჭყიანდება მისი გარემო. ამ თანამედროვე მაგისტრალის დიდ მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ მისი მშენებლობისათვის სახელმწიფომ 40 მილიონ 559 ათასი მანეთი გამოყო.

ეს უნიკალური საავტომობილო გზა შენდება სამ რიგად. რთულია მისი ძაღალმთიანი ტრასა: საინჟინრო ნაგებობათა მეშვეობით იგი გადალახავს ბეგრ ხეობას და მრავალკილომეტრიანი გვირაბებით გავა მთების ქანებში. პირველი რიგის სამშენაობები სოფელ კოლხიდიდან იწყება და გაგრიფშის ხეობამდე გრძელდება. აქედან ყოველგვარის ხეობამდე კი მეორე რიგის სამუშაოები განხორციელდება. მესამე რიგის გზა — გვირაბით სანატორიუმ „უკრაინამდე“ გაგრძელდება.

სამუშაოებს რამდენიმე მძლავრი სამშენებლო ორგანიზაცია აწარმოებს. გვირაბების მშენებლობა დაკისრებული აქვს ენგურჰესის მიწისქვეშა ნაგებობათა სამმართველოს. გზებისა და გზაგამტარების სამუშაოებს ასრულებს ხიდების სამშენებლო რაზმი, ხოლო ხელოვნური ნაგებობების მშენებლობას აწარმოებენ მესამე საგზაო-სარემონტო სამშენებლო სამმართველო, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო და „საქმიდროენერგომშენის“ მოძრავ-მექანიზებული კოლონა.

მიუხედავად სიძნელეებისა, დღეისათვის სამშენებლო ტრასაზე დიდი მოცულობის სამუშაოები შესრულებული, აშენებულია მაღალმთიანი გზის კომპლექსის ყველა ხელოვნური ნაგებობა. მზად არის 2. 083 მეტრი საერთო სიგრძის ორი გვირაბი, ხიდები, რკინაბეტონის მილგამტარები, ზიდა და ამ ქვედა საყრდენი კედლები, ესტაკადა.

გვირაბებში მიმდინარეობს დაცემენტებისა და ვინტილაციის მოსაწყობი სამუშაობი. მთავრდება გზის სავალი ნაწილის მოამზადებება და ასფალტობანათების მონტაჟი.

გაგრის მესამე საგზაო სარემონტო სამშენებლო სამმართველოს მშენებლებმა თავიანთ უბანზე უკვე დიდ მანძილზე დაიგეს ასფალტი. აწარმოებენ გზის ნაპირების გამაგრებას, კეთილმოწყობის სამუშაოებს, მთავრდება ტრასის ლამპიონების დაყენება. დიდი ყურადღება ეთმობა შესრულებული სამუშაოების ხარისხს.

„საქმიდროენერგომშენის“ მოძრავ-მექანიზებული კოლონის კოლექტივმა წელს უნდა შეასრულოს მილიონ 845 ათასი მანეთის სამუშაობი. მშენებლები წარმატებით შრომობენ და გადაჭარბებით შეასრულეს ოთხი თვის სამშენებელო სამუშაოთა დაგალებანი.

შემოსავლელი გზის პირველი რიგის დამთავრებისთანავე სწრაფი ტემპით გაგრძელდება მეორე რიგის სამუშაოები. იგი გიიგლის მთების გულში 2. 200 მეტრ მანძილზე.

გაგრის შემოსავლელი გზის მშენებლობის ყველა უბანზე ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. 1985 წელი ამ მაგისტრალის პირველი რიგის საექსპლოატაციოდ გადაცემის წელია.

მშენებლობაზე მრავალი ძნელი საინჟინრო და ტექნოლოგიური ამოცანების გადაჭრაში დიდი წვლილი შეაქვთ გამოცდილ სპეციალისტებსა და მუშებს. განსაკუთრებით სასახელოდ შრომობენ ა. ონიანი, ვ. ქიტაძე, ნ. გვაზავა, ვ. ჩაჩიბაია, ვ. ნაუმენკო, ვ. კოჩეტკოვი, ო. ჭანტარია და სხვები.

მშენებლობის კოლექტივები ყველფერს ღონობენ, რათა ჩაბარებულმა ობიექტებმა მაღალი შეფასება მიიღონ.

ი. ᲒᲝᲒᲝᲩᲘᲫᲘ,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

ᲛᲐᲦᲐᲚᲛᲗᲘᲐᲜ ᲤᲠᲐᲡᲐᲖᲔ

ᲛᲔᲒᲝᲒᲠᲝᲒᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲠᲗᲘᲔᲠᲗᲒᲐᲒᲐᲛᲯᲝᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ

8 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ მოსკოვში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. ა. შევარდნაძემ მოლაპარაკება გაიმართა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთან, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან ჰ. ვარკონისთან, რომელიც საბჭოთა მთავრობის მოწვევით მეგობრულ ვიზიტად იმყოფება საბჭოთა კავშირში.

ორმხრივი ურთიერთობის საკითხთა განხილვისას მინისტრებმა ხაზი გაუსვეს, რომ საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ძმური მეგობრობა და თანამშრომლობა შეესაბამება ორი ქვეყნის ხალხთა ძირეულ, ხანგრძლივ ინტერესებს, ემსახურება სოციალიზმის, მშვიდობის განმტკიცების, საერთაშორისო და ევროპის უშიშროების დაკვიდრების საქმეს. განსაკუთრებით აღინიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვთ უმაღლესი დონის შეხვედრებს, რომელთა დროს განისაზღვრება ყველა დარგში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, სსრ. კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრო თანამეგზეურების შემდგომი განმტკიცების გზები.

საერთაშორისო საკითხებზე აზრთა გაზიარებისას მხარეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ახლახანდელი რიგი და საშინ მსოფლიო ვითარების პირობებში იზრდება საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების შორსგამიზნული საშვიდობო ინტერესების ფართო კომპლექსის აქტიურობა და მნიშვნელობა, რომლებიც ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისა თვის ზრუნვით არის ნაკარნახევი. მხარეებმა ერთსულოვნად განაცხადეს, რომ სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ძალისხმევა მუშამსახურება სოციალიზმის ინტერესების დაცვას, მოამზე სახელმწიფოთა კავშირის შემდგომ განმტკიცებას, ბირთვული ომის საფრთხის აღმოფხვრას, გამალებული შეიარაღების ალაგმვას, დაძაბულობის შენელებას — როგორც საერთაშორისო ვითარების ბალანსიზებული ფორმა, ბალანსიზებული ტენდენციის აღორძინებას და განმტკიცებას.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა მეგობრობის, ურთიერთგაგებისა და შეხედულებათა სრული ერთიანობის ატმოსფეროში. შეთანხმებულია ერთობლივი კომუნიკე, რომელიც პრესაში გამოქვეყნდება.

* * *

ე. ა. შევარდნაძემ ჰ. ვარკონის პატივსაცემად გამართა სადილი, რომელზეც მინისტრებმა სიტყვები წარმოთქვეს.



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ სპეციალური სახეები ჩარხების საამქროში კარგად არის ცნობილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ხარატ რ. ქემოყლიძის მიერ აღზრდილი კომკავშირელი თამაზ ჭუმარიტოვი. ახლა აზრდა ხარატმა ჩინებულად აითვისა ახალი პროგრამაზე ჩარხების დეტალების დამზადების ტექნოლოგია და ყოველდღიურად გადამეტებით ასრულებს დავალებას, ზოგავს ლითონს.

თ. ჭუმარიტოვი კარხნის კომკავშირის ბიუროს წევრია და დიდი ხანია 1986 წლის ანგარიშში შრომობს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: ხარატი თ. ჭუმარიტოვი.

ს. კილᲐᲫᲘᲡ ფოტო.

ვენახი რომ ვენახოობდეს და ბაღიც ბაღობდეს!

დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი

ჟურნალ „ოზობრეტაველ ი რაციონალიზატორის“ მარტის ნომერში დაბეჭდილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ირაკლი ჯორჯაძის პრობლემატური სტატია „სანსიფუნი ნიმუშნი“, რომელშიც იგი გვთავაზობს ქიმიური ელემენტების პერიოდული ცხრილის მსგავსად, სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის შეიქმნას საუკეთესო ტექნიკური ნიმუშების კრებსითი ცხრილი და მისი ჩარჩოებით განისაზღვროს კონსტრუირება, აგრეთვე საგამომგონელო ძიება.

ამასთან დაკავშირებით გაზეთი „კომუნისტის“ კორესპონდენტი შეხვდა სტატიის ავტორს ი. ჯორჯაძეს და რამდენიმე შეკითხვით მიმართა მას.

— თქვენ მიგაჩნიათ, რომ ახალი ტექნიკური ნიმუშების უსასრულო მოძრაობაში ჩაბმა მოიქცა და ძნელად სამართავი პროცესი გახდა, ანა?

— დავიწყებ იმით, რომ საკითხი, რომელსაც მე ვეხები სტატიაში, მხოლოდ გამომდინარეობს ამოცანებიდან, რომლებიც ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა დაგვისახა თავის მოხსენებებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარიზის პლენუმზე და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე.

სტატია ეხმაურება აპრილის პლენუმზე დასმულ იმ მთავარ საკითხს, თუ როგორ და რის ხარჯზე შეძლებს ქვეყანა მიაღწიოს ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას. სწორედ რომ, სწრაფი უსუფგება შეიძლება მივიღოთ, თუ ავამოქმედებთ ორგანიზაციულ-ეკონომიკურ და სოციალურ რეზერვებს და, უწინარეს ყოვლისა, გავაქტიურებთ ადამიანის ფაქტორს. საქმე ეხება აგრეთვე მფლობელობისა და დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლას, იმ პრინციპოლად ახალ ტექნოლოგიურ სისტემებზე. უკანასკნელ თაობის ტექნიკაზე გადასვლას, რომელიც დიდ ეფექტს გვაძლევენ. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ეფექტიანობის ზრდის დაჩქარება კი განეკუთვნები ერთ-ერთ პრიორიტეტის ხარისხის გაუმჯობესებისაგან.

ახლა კონკრეტულად ვუპასუხებ თქვენს კითხვას.

საქმე ის არის, რომ ტექნიკის ნიმუშების განვითარება მსოფლიოში მიმდინარეობს ელმბრივად, მათი უსასრულო გამრავლების გზით. ამან კი ახალი ნიმუშების შექმნასთან დაკავშირებული ფიზიკურ ფეთქებად გამოიწვია. ახალი ნიმუში, რომ ბუნებასა, ჯერ დაბადებული არ არის და მას უკვე ათობით შემცვლელი უჩნდება. ამასთან, ნიმუშების შექმნაზე დასაქმებულია მეცნიერები, კონსტრუქტორების და სახელმწიფო აპარატების მუშაკთა დიდი არმია. ბუნებრივია, რომ მსოფლიოში შეიქმნა ნიმუშების ჭარბწარმოება, მომრავალი ერთი ტიპის ნიმუშები, რომლებშიც სიახლის უმცირესი პროცენტია. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მათი გამრავლების პროცესი ჩიხში მოექცა. თავდაპირველად, როცა ტექნიკა ეოტა გვქონდა, ნიმუშთა გამრავლების პროცესი პროგრესული მოვლენა იყო, მაგრამ ახლა ეს, თუ გნებავთ, ყველაზე აგრესიული ფაქტია, ეწინააღმდეგება გეგმიან განვითარებას და უარყოფითად მოქმედებს წარმოებაზე, ექსპლოატაციაზე, მომარაგებაზე და საბოლოდ — ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

— სად არის გამოსავალი?

— სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის ნიმუშების გამრავლების პრინციპს მკაცრად შერჩეული და სისტემატიზებული ნიმუშების პრინციპი უნდა დავუპირისპიროთ. შერჩეული პროცესების მართვა და საუკეთესო ნიმუშების განვითარება თანამედროვე მეცნიერების ძირითადი ამოცანა უნდა გახდეს. საქმე ნიმუშების უსასრულო გამრავლების ადმინისტრაციული წესით შეზღუდვის როდი ეხება. ეს იქნება საუკეთესო ნიმუშების შერჩევის სისტემატიზაცია და განვითარების პრინციპულად ახალი, მეცნიერული გზა, რაც უზარმეტლეოფოს სოციალისტური ეკონომიკის განვითარების გეგმიან საწყისს.

ნიმუშების **პირველი პრინციპი** დამახასიათებელია კაპიტალისტური წარმოების მეთოდისათვის, და ეს გასაგებია. საკონკურენტო ნიმუშების შერჩევა კაპიტალისტურ სამყაროში ხორციელდება სტიქიურად და არა მეცნიერულად, ოვით ნიმუში კი საქმისანთა „სათამაშო“ ხდება.

დარგების მიხედვით მკაცრად შერჩეული და სისტემატიზებული ნიმუშების განვითარების **მეორე პრინციპის** განხორციელება სრულყოფილად შესაძლებელია გეგმიან სოციალისტურ საზოგადოებაში. ნიმუშების საკონკურენტო შერჩევა აქ ხდება არა სტიქიურად, არამედ მეცნიერულად, რითაც მათი წარმოების მართვა გეგმიანი ხდება. საუკეთესო ნიმუშების შერჩევისა და გეგმიანი სისტემატიზაციის უნარი შესწევს მხოლოდ სოციალიზმს და ეს უპირატესობა ონოა გამოიყენოთ. ამიტომ, **ნიმუშების რაოდენობრივი შერჩევიდან დროა გადავიდეთ მათ ხარისხობრივ შერჩევაზე.** ასეთი სიმრავლე იმის საშუალებასაც კი არ იძლევა, რომ ერთი დარგისათვის განსაზღვროთ საჭირო რაოდენობის ნიმუშთა რაოდენობა და ხარისხი. ტექნიკის განვითარების პროცესში, განსაკუთრებით ტრადიციულ დარგებში, ნიმუშთა რაოდენობა კანონზომიერად მცირდება ან სტაბილური ხდება, ყველ შემთხვევაში, არ იზრდება. ამიტომ აუცილებელი ხდება ტექნიკის ნიმუშთა სტაბილიზაცია, თუნდაც ისეთ ტრადიციულ დარგებში როგორიც. მაგალითად, მიწათმოქმედება და სახლიანი წარმოებაა. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ზეჭარსებულად დარგებში ცდილობენ შეიტანონ არათუ სტაბილურობა, არამედ ნიმუშთა სამრავლე.

მე ხელთ მაქვს 10-15 წლის წინანდელი პუბლიკაციები. 1970 წლის აგვისტოში მოეწყო შეხვედრა ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მოეწყვლობის სამინისტროს საწარმოების ხელმძღვანელებთან, მთავარ კონსტრუქტორებთან და პარტიული კომიტეტის მდივნებთან. თავის ინტერვიუში ი. „ლტაისოფლმანქანის“ დირექტორმა ი. ლუზანინმა განაცხადა, რომ ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებელი საწარმოები უშვებენ 724 სახეობის ტრაქტორს, კომბაინსა და სხვა მანქანას. 1971 წლის №9 ჟურნალ „ტექნიკა მოლოდიოოში“ მას კვლავ დაუკარა ამავე დარგის მინისტრმა ი. სინიცინმა. მან განაცხადა, რომ მოდერნიზირებული იქნება და ხელახლა შეიქმნება 800 სახეობის ტრაქტორი და სხვა მანქანები. თან დასძინა, რომ 1972 წლისათვის მოლიანად შეიცვლება მოდელები, რომლებსაც ამჟამად ეუშვებთო.

1960-1970 წლებში შეიქმნა 32 ათასი ახალი მანქანაა და მოწყობილობის ნიმუში, 1200 ახალი ხელსაწყო, ითვისეს 10000 დასახელების სამრეწველო პროდუქცია.

ისმება კითხვა: ვის სჭირდება ამდენი ნიმუში და ვინ აითვისებს მათ? რატომ ვართულებთ ხელოვნურად შრომას და წარმოების მომარაგებას. როგორ გგონიათ ხომ არ შეუშალა ამ ფაქტმა ხელი მეცხრე და მეათე ხუთწლეულებში ზოგიერთი მაჩვენებლების მიხედვით გეგმის შესრულებას?

— როგორ ვსპართთ ნიმუშების შერჩევის პროცესი?

— არ არის საჭირო ნიმუშთა სიმრავლე და ტექნიკის ხელოვნური უსასრულოდ განახლება. სახალხო მეურნეობის ყველა დარგებისათვის ზუსტ ჩარჩოებში სტაბილიზებული ნიმუშების განვითარება საშუალებას მოგვცემს შევქმნათ ნიმუშთა ძირითადი ნომენკლატურის სტაბილური ცხრილი. ეს უზარმეტლეოფს არა მარტო ნიმუშების მასობრივი წარმოების გეგმიან საწყისს კონკურტული ეკონომიკური შესაძლებლობების მიხედვით, არამედ საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ნიმუშების ხარისხობრივი და რაოდენობრივი შედგენილობის რიცხვი, როგორც სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგში, ისე მთლიანად. ეს მეცნიერების, კონსტრუქტორების და საწარმოთა მუშაკების კონკურეული ნიმუშების სრულყოფასთან დაკავშირებულ შრომას გახდის უფრო მიზანდასახული, ხოლო მომხმარებლთა შრომას — უფრო ნაყოფიერს. გამონთავისუფლება ათასობით ნიმუშების შექმნაზე დასაქმებული მრავალრიცხოვანი კვალიფიცირებული კადრები და საწარო სამმოკავრები, შემსუბუქდება შრომა მინდვრად და საწარმოებში, შემცირდება იმ ათიათასობით მანქანის მოცდენა, რომლებსაც თავიანთი უნიკალურობის ან ნახევრად უნიკალურობის გამო არ გაჰანნიათ სათადარიგო ნაწილები, მკვეთრად შემცირდება აგრეთვე სამმართველო, ტექნიკური და მომმარაგებელი აპარატი.

ნიმუშმა ალმოგვიჩინა სისტემატიზაციის ისეთი ახალი ეპოქა, რომელშიც წარმოება და მოხმარება ერთ არის უბრალოდ შერწყმული. იგი გახლავთ მეცნიერებათა და პრაქტიკოსთა მრავალი თაობის დიდი და ხანგრძლივი შრომის შედეგი. ნიმუშის მეშვეობით ხდება შესაძლებელი უბრალოდ და, ამავე დროს, ყოველმხრივ შეეხედოთ წარმოებას მოთხოვნილების პოზიციებიდან, წარმოების პოზიციებიდან განსაზღვროთ რამდენი ნიმუში ჭირდება მომმხარებელს და რამდენის მიეცემა შეუძლია წარმოებას. მენდელეევის ცხრილის ელემენტების მსგავსად ნიმუში ხდება ტექნიკის სისტემატიზაციის ცხრილის ისეთ მნიშვნელოვან და მყარ ელემენტად, რომელიც გამორიცხავს ტექნიკის ზედმეტი ნიმუშების შექმნას და მიგვითითებს მათი განვითარების პერსპექტივებზე. ამგვარად, ფეხს მოიკიდებს მთავარი ნიმუშის მყარი ელემენტი, შეწყდება მისი დენადობა, საგამომგონებლო. თვითონ ბობა. პირველადი, გამორჩეული, მყარი ნიმუშისა და სახეობათა მიხედვით სისტემატიზაციის მკაცრი ცხრილის შეუმჭნველად შეუძლებელი მტაცეკ, ურყევი ბაზისის შედგენა მთელი ზედნაშენისათვის მათი გაორყენების, ორგანიზაციისა და მართვის ფორმების სახით.

ამიტომ სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით ზუსტად გასაზღვრულ და მეცნიერულად შერჩეულ სისტემაში მოქცეული ნიმუშთა მყარი ცხრილი როგორც მთელი წარმოების, ისე ტექნიკის გამოყენების ბაზისი ხდება. ახლა, ქიმიური ელემენტების სისტემატიზაციის მსგავსად მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენად არის აღიარებული ელემენტარული ნაწილაკები. დიდი ბანაა ირეაბოს და წარმატებით ვითარდება სტანდარტიზაცია მანქანების დეტალების, კვანძების, ბლოკებისა და აგრეგატების მიხედვით. მაგრამ, წვრილმასშტაბიანი სისტემატიზაციით მთელი ინდუსტრიის განვითარების პროცესის დანაზი, წარმოდგენა და, მით უმეტეს წარმართვა შეუძლებელია. საერთო, მეცნიერებაში და ტექნიკაში ელემენტარულად მცირე ნაწილაკების სისტემატიზაციაა არსებობს, მაგრამ არა გვიქვს ნიმუშებისა და ტექნიკის სისტემების შერჩევის მაკროსტრუქტურა, რომლის საშუალებითაც დავინახავდით, წარმოვიგენდით და წარმართვადით ინდუსტრიის განვითარების მთელ პროცესს. ნიმუში, რომელშიც შერწყმულია წარმოება და მოხმარება, უმაღლესი ტექნიკურ-ეკონომიკური სახეობა და მთელი ინდუსტრიალური პროცესის ზუსტი ჯანმსაზღვრელი ხდება. ნიმუშის შერჩევით და სისტემატიზაციით ერთდროულად წესრიგდება წარმოებაც და მოთხოვნაც. ნიმუში ხდება ამ ორგანების დამაკავშირებელი და წარმმართველი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ნიმუშის განვითარებას წარმოება და მოთხოვნა სხვადასხვა მოთხოვნებს უყენებენ. თუ წარმოება ნიმუშების გამრავლებით ვითარდება, თვით მოთხოვნა საზღვრავს ახალი ნიმუშების რაოდენობის დამზადებას. მაშასადამე, ნიმუშების ერთ ცხრილ ში სისტემატიზაცია მოგვ ვმს როგორც წარმოების და მოთხოვნის, ისე შერჩევის მიხედვით საჭირო ტექნიკის რაოდენობრივი დაგეგმვის საშუალებას. საერთოდ ეს მთელი სოციალისტური წარმოების გეგმიანი საწყისია. ეს გაბლავთ ის უდიდესი უპირატესობა, რომელიც ჩვენ მოგვანიჭა ისტორიამ კაპიტალისტურ წარმოებასთან და მოთხოვნასთან შედარებით.

— როგორია ამ საქმეში სტანდარტიზაციის როლი?

— ხარისხელდება დიდი სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი სტანდარტების როლის გაზრდისათვის, პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გეუმჯობესებისათვის. სწორედ სტანდარტიზაციისა და ყველა სახეობის ტექნიკის უნიფიცაციასთან დაკავშირებულ ღონისძიებების განხორციელება ქმნის პირობას იმისათვის, რომ გაგვიდეს ნაბიჯი გადაიდას ტექნიკის სისტემატიზაციის შემდგომი განვითარებისათვის მთელი რიგი ნიმუშებისა და სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით. ჩვენს ქვეყანაში ახლა 15 ათასი სტანდარტი მოქმედებს, მაგრამ ისინი მთლიანად ვერ იკადაგენ გზას ცხოვრებაში, ეს კი ზარალს აყენებს სახალხო მეურნეობას. არაა, გამოანგარიშებულია, რომ სტანდარტიზაციაზე დახარჯული მანეთი 3-12 მანეთ მოგებას იძლევა. განსაზღვრული ნიმუშების შერჩევაზე გადასვლა საშუალებას მოგვცემს ასობით მოქმედი სტანდარტი დავნეოოთ ისეთი სახეობის ტექნიკაში, როგორიც არის, მაგალითად, თვითმფრინავი, კომბაინი და სხვა.

ეორეგ, რა გამოდის, ზოგიერთი გენერალური კონსტრუქტორი ხელახლა ქმნის ისეთ ტექნიკას, რომლის ნაწილთა 80-90 პროცენტი გეუმოდგინეულ არის დამოუკიდებელ, ეოგრიგით შემოწმებული და შეესაბამება განსაზღვრული სტანდარტების ეკონომიკური შესაძლებლობების მიხედვით, არამედ საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ნიმუშების ხარისხობრივი და რაოდენობრივი შედგენილობის რიცხვი, როგორც სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგში, ისე მთლიანად. ეს მეცნიერების, კონსტრუქტორების და საწარმოთა მუშაკების კონკეტული ნიმუშების სრულყოფასთან დაკავშირებულ შრომას გახდის უფრო მიზანდასახული, ხოლო მომხმარებლთა შრომას — უფრო ნაყოფიერს. გამონთავისუფლება ათასობით ნიმუშების შექმნაზე დასაქმებული მრავალრიცხოვანი კვალიფიცირებული კადრები და საწარო სამმოკავრები, შემსუბუქდება შრომა მინდვრად და საწარმოებში, შემცირდება იმ ათიათასობით მანქანის მოცდენა, რომლებსაც თავიანთი უნიკალურობის ან ნახევრად უნიკალურობის გამო არ გააჩნიათ სათადარიგო ნაწილები, მკვეთრად შემცირდება აგრეთვე სამმართველო, ტექნიკური და მომმარაგებელი აპარატი.

